ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის ობიექტი:

ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13 მ. შპს „დომუსი ჯგუფი“-ს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.16.004.315 მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი (დაკავებულობის ცვლილება)

დამკვეთი:

შპს „დომუსი ჯგუფი“

პროექტის ავტორი:

გიორგი ნონიკაშვილი

ექსპერტი:

მელანია მაკარიძე

ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი:

23.07.2025

თ ბ ი ლ ი ს ი

2025 წ.

23.07.2025 მელანია მაკარიძე

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე იმ ნაწილში, სადაც მოხდა დაკავებულობის ცვლილება და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალების ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
3. სიტუაციური გეგმა;
4. საპროექტო გეგმები;
5. კორექტირებული პროექტის პირველი სართულის გეგმა.

23.07.2025 მელანია მაკარიძე

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ----------1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ----------2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ----------3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ----------6

მისაწვდომობის შეფასება ----------7

შიგა გარემოს შეფასება ---------- 8

გარე კედლების შეფასება ----------9

წყალსადენი სისტემების შეფასება ----------10

პროექტის ზოგადი მიმოხილვა:

- კორეტირებული საპროექტო შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის გამზირზე, N13 მ. მიწის ნაკვეთიზე ს/კ **01.10.16.004.315** და წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელი სახლს. შენობა ოცდაოთხსართულიანია, მიწისქვეშა ავტოფარეხით. კონსტრუქციის ტიპია I-A.

- გათვალისწინებულია, პირველ (მიწისპირა) სართულზე, მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომი გარაჟის) დაკავებულობის შეცვლა საქმიანი დაკავებულობით (სქ).

- ვინაიდან პროექტის საქმის წარმოება დაწყებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების - ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ ამოქმედებამდე, იგი ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს. საექსპერტო დასკვნის მიზანია სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად „წესების“ მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდის საკითხის შეფასება.

23.07.2025 მელანია მაკარიძე

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი პროექტით დაგეგმილია მხოლოდ პირველი სართულის ფართის ფუნქციის/დაკავებულობის ცვლილება, კერძოდ, ავტოსადგომის ფუნქცია იცვლება საქმიანი ფუნქციით. აქედან გამომდინარე, 302-ე ქვეთავის მიხედვით, კორექტირებულ პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **არსებული - საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (შეესაბამება 310.4 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება ორზე მეტი საცხოვრებელი ერთეული, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ან ხანგრძლივად ცხოვრობენ. ეს ჯგუფი მოიცავს მრავალბინიან სახლებს/შენობებს). ,

.

- **საპროექტო - საქმიანი ჯგუფი სქ** (შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად).

- **რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, კორექტირებული პროექტის მიხედვით მინიჭებული მაჩვენებელი, პირველ სართულზე, შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

- საქმიანი სივრცისათვის ---------- 9.3 მთლიანი.

- შემდგომ ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვითაა დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). შესაბამისად, საპროექტო ფართობის **სქ** ჯგუფის საერთო დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 44-ს.

შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- პროექტის კორექტირება არ ითვალისწინებს შენობის სიმაღლის, სართულიანობისა და ფართობის ზრდას.
- 503 ცხრილის მიხედვით, მშენებარე შენობის კონსტრუქციის ტიპიდან (I-A) გამომდინარე, **სქ** ჯგუფის დაკავებულობის სართულიანობა და ფართობი - შეუზღუდავია. დაკავებულობის ცვლილების შედეგად მიღებული საქმიანი ფართობის სართულიანობა არ აღემატება 1-ს, ხოლო საერთო ფართობი - 386,0 კვ.მეტრს.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კორექტირების შედეგად არ იზრდება შეუსაბამობის ხარისხი შენობის სიმაღლის, სართულიანობისა და ფართობის მხრივ.

23.07.2025 მელანია მაკარიძე

კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- შენობის კონსტრუქციის ტიპია I-A. პროექტის კორექტირება არ ითვალისწინებს შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციების ცვლილებას. შესაბამისად, კორექტირების შედეგად არ იზრდება *წესებთან* შეუსაბამობის ხარისხი კონსტრუქციის ტიპის მხრივ.

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- როგორც ზემოთ აღინიშნა პროექტის კორექტირებით არ იცვლება ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი, ხოლო კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე, დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შესაბამისად, პროექტის კორექტირებით არ იზრდება ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების *წესებთან* შეუსაბამობის ხარისხი.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების შეფასება:

- კორექტირების შედეგად მიღებული საოფისე/საქმიანი ფართი ასევე არ ჯდება 907.2.2 ქვეთავით განსაზღვრულ, რომელიმე კრიტერიუმში, შესაბამისად, სავალდებულო არაა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემის მოწყობა.
- კორექტირების შედეგად მიღებული საოფისე/საქმიანი ფართი 906 ქვეთავის თანახმად აღჭურვილია ხელის ცეცხლმაქრებით.

გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- მშენებარე შენობა (შეთანხმებული 2014 წ.) სრულად ვერ აკმაყოფილებს მეათე თავის მოთხოვნებს გასასვლელ საშუალებებთან დაკავშირებით. თუმცა გასასვლელები, გასასვლელთან მისადგომები და შენობიდან გამოსასვლელები დაკავებულობის ცვლილების შედეგად არ იცვლება.
- უშუალოდ კორექტირებული ფართობი (I სართული) აკმაყოფილებს მოთხოვნებს გასასვლელთან მისადგომ მაქსიმალურ სავალ მანძილთან დაკავშირებით. ასევე, 1014.3 ქვეთავისა და 1015.1 ქვეთავის მიხედვით, აღნიშნულ ფართობს, დასაშვებია, ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი, თუმცა აღნიშნულ ფართობს ემსახურება რამდენიმე გასასვლელი გზა-კარი.
- კორექტირებულ ფართობს გააჩნია თორმეტი გასასვლელი გზა-კარი, რომელთაგანაც თორმეტივე პირდაპირ გარეთ გადის.

23.07.2025 მელანია მაკარიძე

- ყოველივე ზემოაღიშნულის გათვალისწინებით, გასასვლელი საშუალებების კუთხით, წესებთან შეუსაბამობის ხარისხი არ იზრდება.

მისაწვდომობის შეფასება:

- კორექტირებული პროექტის მიხედვით, არ იცვლება ფართობის მისაწვდომობის ხარისხი.
- 2111.6 ქვეთავის მიხედვით, გადაკეთებული ნაგებობა მე -11 თავს უნდა შეესაბამებოდეს, თუ ტექნიკურად შესაძლებელია. თუ ამ ქვეთავთან შესაბამისობა ტექნიკურად შეუძლებელია, გადაკეთებისას მისაწვდომობა, მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.
  გამომდინარე იქედან, რომ კორექტირებული ფართობი საზოგადოებრივი გზის ნიშნულიდან აწეულია მხოლოდ 3 სმ-ით. მისაწვდომობა უზრუნველყოფილია სქ ჯგუფის N1; N2 და N4 ფართობში.
  ხოლო, ერთი მათგანი, კომერციული ფართობი N3, დაექვემდებარება ამავე ქვეთავის მე-2 გამონაკლისს, რომლის თანახმადაც, მე-10 თავში მოთხოვნილი მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები არსებულ შენობებსა და ნაგებობებში აუცილებელი არ არის.
- 2111.4.1 ქვეთავის მიხედვით,თუ შენობის ნაწილში დაკავებულობა იცვლება ახალი დაკავებულობის ჯგუფით, ნებისმიერი გადაკეთება უნდა განხორციელდეს 34.11.6, 2111.7 და 34.11.8 ქვეთავების შესაბამისად. 2111.7 ქვეთავის მეორე გამონაკლისის მიხედვით კი, მისაწვდომი ტუალეტების მოწყობა სავალდებულო არაა, თუ გადაკეთება მოიცავს მხოლოდ ფანჯრების, კავეულის, სამართავი მოწყობილობების, ელექტროსადენებისა და ნიშნების გადაკეთებას. მიუხედავად ამისა
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კორექტირების შედეგად, მისაწვდომობის კუთხით წესებთან შეუსაბამობის ხარისხი არ იზრდება.

შიგა გარემოს შეფასება:

- კორექტირებული ფართობი ნიავდება ბუნებრივად და მექანიკურად (სველი წერტილები). ბუნებრივი განიავებისათვის აუცილებელი გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის 1206 ქვეთავის შესაბამის საზოგადოებრივ სივრცეში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
- რაც შეეხება ტუალეტის ოთახს, ასეთი სივრცე ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- კორექტირებული ფართობი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. შუქგამტარი სუფთა ფართობი არ არის სივრცის ფართობის 8%-ზე ნაკლები. ასეთი გარე ღიობები გადის 1206 ქვეთავის შესაბამის საზოგადოებრივ სივრცეში. თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

23.07.2025 მელანია მაკარიძე

გარე კედლების შეფასება:

- კორექტირებული ფართობის (შენობის) გარე კედლები წარმოადგენს მზიდ კედლებს, რომელთაც, 601 ცხრილის მიხედვით, უნდა გააჩნდეს 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც გათვალისწინებულია 721.1(2) ცხრილის შესაბამისად. ვინაიდან კორექტირების პროექტის მიხედვით არ იცვლება შენობის გარე კედლები და მოსაპირკეთებელი მასალები, ხოლო 705.8 ცხრილის მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე, გარე კედლებში ღიობების რაოდენობა შეუზღუდავია, დაკავებულობის ცვლილებით წესებთან შეუსაბამობის გაზრდა არ ხდება.

წყალსადენის სისტემის შეფასება:

- სარეკონსტრუქციო ფართში წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა გათვლილია 1602.1 ცხრილში მოთხოვნილ რაოდენობის შესაბამისად.
- ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წყალსადენის სისტემების მოწყობილობების რაოდენობის კუთხით, კორექტირებული ფართობი *წესებთან* შესაბამობაშია.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის გამზირზე, N13 მ. მიწის ნაკვეთიზე ს/კ **01.10.16.004.315** მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი (დაკავებულობის ცვლილება), არ გამოიწვევს არსებული შენობის წესებთან შეუსაბამობის კიდევ უფრო მეტად გაზრდას.

დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. ამრიგად, საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

არქიტექტორი: გიორგი ნონიკაშვილი

ექსპერტი: მელანია მაკარიძე

23.07.2025 მელანია მაკარიძე

მელანია მაკარიძე

მობილური: 599719350

ელ-ფოსტა: melania_ge@mail.ru

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

დაბადების თარიღი: 13.06.1981



განათლება

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო, 09.1998 - 06.2004
არქიტექტურის ფაკულტეტი, არქიტექტორი
მაგისტრთან გათანაბრებული მიბმული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/fc05ec6a-a965-4128-a86a-ace99c858b83)

სამუშაო გამოცდილება

მთავარი არქიტექტორი, შპს ,,არქიპელაგი 2022"

მოვალეობები:
1. არქიტექტურული პროექტების მომზადება
2. საექსპერტო დასკვნების მომზადება ტექნიკური რეგლამენტის - ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" შესაბამისობის დასადგენად.
3. მშენებლობის პერიოდული ზედამხედველობა მოთხოვნის შესაბამისად.

მთავარი არქიტექტორი, შპს ,,არქიპელაგი", 05.2016 - დღემდე, (110 თვე - 9 წელი და 2 თვე)

მოვალეობები:
1. არქიტექტურული პროექტების მომზადება
2. საექსპერტო დასკვნების მომზადება ტექნიკური რეგლამენტის - ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" შესაბამისობის დასადგენად.
3. მშენებლობის პერიოდული ზედამხედველობა მოთხოვნის შესაბამისად.

არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის, ზედამხედველობისა და მოსაკრებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა., 10.2014 - 05.2016, 560 (19 თვე - 1 წელი და 7 თვე)

მოვალეობები:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და დასკვნების მომზადება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების, გარე რეკლამის განთავსების, შენობების (მიუხედავად საკუთრების ფორმისა) ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე კონტროლი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამიჯნე ნიშნის მოშლის, დაზიანების ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლის ფაქტების გამოვლენას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ავტოტრანსპორტის პარკირების დადგენილი წესების, სანიტარიული დასუფთავების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესრულებაზე კონტროლი; თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა – ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობის საპროექტო ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, ორგანიზაციულ – სამართლებრივი წესრიგის კონტროლი მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, კანონით დადგენილი წესით; დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით'' დადგენილი ზომების მიღების შესახებ წინადადებების მომზადების განხორციელება; არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ მითითების გაცემის შესახებ წინადადებების მომზადება, მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმების, წესებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ; სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულების უზრუნველყოფა.

წამოსვლის მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, 01.2009 - 09.2014, 560 (68 თვე - 5 წელი და 8 თვე)

მოვალეობები:
შენობა – ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტების განხილვა, ფერთა შეთანხმება, მუნიციპალიტეტში არსებულ ობიექტებზე განსათავსებელი საინფორმაციო დაფების, აბრებისა და ფირნიშების ესკიზების შეთანხმებაზე შესაბამისი აქტების მომზადება; წინადადებების მომზადება და განხილვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე გაფორმების ელემენტების/ მონუმენტურ–დეკორატიული, მცირე არქიტექტურული ფორმების მხატვრული იერსახისა და განთავსების საკითხებთან დაკავშირებით; არქიტექტურულ – ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვაში მონაწილეობის მიღება; სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულება.

წამოსვლის მიზეზი: სამსახურის რეორგანიზაციის საფუძველზე

არქიტექტორი, შპს , , აქსისი", 03.2006 - 12.2008, 1100 (33 თვე - 2 წელი და 9 თვე)

მოვალეობები:

1. არქიტექტურული პროექტების მომზადება საპროექტო განყოფილების დირექტორის ბრძანების შესაბამისად.

წამოსვლის მიზეზი: ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე

სრული სტაჟი: 18 წელი და 4 თვე

ენები

რუსული (წერა:A1, მეტყველება:A1), **ინგლისური** (წერა:A1, მეტყველება:A1),

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Word (კარგი), Microsoft Excel (კარგი), **ArchiCAD** (ძალიან კარგი), **AutoCAD** (დამაკმაყოფილებელი), **Photoshop** (კარგი),

ტრენინგები, სხვა მიღწევები

შენობა ნაგებობების ინსტიტუტი-საქართველო,09.2019-10.2019
შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები ატვირთული ფაილი (https://www.hr.gov.ge/files/6262ae23-c2be-4c25-9ae9-36db9fc85550)

პროექტები

ჭიათურის მუნიციპალიტეტი. სოფელი დიდი კაცხი შპს ,,შატო კაცხი მარანი"-ს მიწის ნაკვეთზე ს/კ 38.03.38.113, მარნის პროექტი

2024 . , III

ქ. თერჯოლა. შპს ,,მეღვინეობა ხარება"-ს მიწის ნაკვეთზე ს/კ 33.09.41.508 საწყობის რეკონსტრუქციის პროექტი

2023 . , III .

ქ. ტყიბული. კ. ლომაძის მ. N1-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 39.01.24.025 არსებული მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის პროექტი.
2023 . 5 IV

ქ. ქუთაისი. იზოლდა ამბროლაძის მიწის ნაკვეთზე ს/კ 03.04.27.424 ერთბინიანი, ინდივიდუალური, საცხოვრებელი სახლის პროექტი
2022 წ. (ბრძანების ნომერი _ ბ10.44230292)

სამი სართული. II კლასი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. სოფ. ზედა საქარა. შპს,,კარტლის მენეჯმენტი"-ს მიწის ნაკვეთზე ს/კ 32.03.49.684 კარტლისის სასწავლო ცენტრის პროექტი. 2022 წ.
ერთი სართული. II კლასი.

ქ. ქუთაისი. გიგლა კოპალეიშვილის მიწის ნაკვეთზე ს/კ 03.06.23.643 ერთბინიანი, ინდივიდუალური, საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი. 2022 წ. (ბრძანების ნომერი -ბ44.44230758)

სამი სართული. II კლასი.

მცხეთის მუნიციპალიტეტი. სოფ. ნავდარაანთკარი. ხათუნა ნავდარაშვილის მიწის ნაკვეთზე ს/კ 72.04.24.509 ერთბინიანი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი. 2021 წ.

სამი სართული. II კლასი

ქ. თერჯოლა. შპს ,,იმერმედი-იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი (თერჯოლამედი)"-ს მიწის ნაკვეთზე ს/კ 33.09.33.542 სამედიცინო დაწესებულების მიშენების პროექტი. 2021 წ.

ორი სართული. III კლასი.

ქ. ამბროლაური. მამუკა ხუციძის მიწის ნაკვეთზე ს/კ 86.19.27.233 ინდივიდუალური, ერთბინიანი, საცხოვრებელი სახლის პროექტი.
2021 წ.

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ხეოშვილის ქ. N9-ში მდებარე ინდივიდუალური, ერთბინიანი, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საექსპერტო დასკვნა. 08.2020-09.2020
ტექნიკური რეგლამენტის_,, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან _ ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"

ქ. თერჯოლაში მაია ქურცაძის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.39.543) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი 07.2020-08.2020

ორსართულიანი შენობა. II კლასი.

ქ. ზესტაფონში, ბერი თევდორეს ქ. I შესახვევი N2-ში, ადელაიდა ფერაძის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 32.10.36.145) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი 07.2020-08.2020
ერთბინიანი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ერთსართულიანი შენობა. II კლასი.

ქ. თერჯოლაში, შ. რუსთაველის ქ. N82-ში, შპს ,,იმერმედი იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი (თერჯოლამედი)"-ს შენობაზე სასწრაფო გადაუდებელი დახმარების განყოფილების მიშენების პროექტი 11.2019-02.2020
სამედიცინო დაწესებულება.

ერთსართულიანი მონაშენი. IV კლასი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვაში, მიხეილ ვერულაშვილის მიწის ნაკვეთზე ს/კ 33.08.38.389 საწარმოო შენობის პროექტი 07.2019-06.2020
საწარმოო ფართები: ბლოკის ცეხი, მეტალის საამქრო, ხის დამამუშავებელი ცეხი.

ერთსართულიანი შენობა. III კლასი.

ქ. თერჯოლაში მალხაზ ხარაძის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.43.516) შავი ლითონის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტი 05.2019-08.2019
შავი ლითონის, სილიკომანგანუმის გადამამუშავებელი საწარმო.

IV კლასი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ღვანკითში ირაკლი კუბლაშვილის მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის პროექტი 10.2018-11.2018
ინდივიდუალური. ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ოთხსართულიანი შენობა. III კლასი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ.ზედა საბანოში, დავით ჯიხვაშვილის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.18.42.05)არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი 07.2018-09.2018
მრავალფუნქციური შენობა.

ორსართულიანი, მრავალფუნქციური შენობა. განაშენიანების ფართობი 460 კვ.მ. III კლასი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ღვანკითში შპს ,,კოხრა"-ს მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი. 05.2018-06.2018
კვების ობიექტი.

ერთსართულიანი შენობა, განაშენიანების ფართობი 509.5 კვ.მ. III კლასი.

ქ. თერჯოლაში მაია ქურცაძის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.42.162) აირსავსები გაზგასამართი სადგურის პროექტი 05.2018-08.2018
LPG ავტოგასამართი სადგური

IV კლასი.

ქ. თერჯოლაში შპს ,,რიმე პლიუსი"-ს მიწის ნაკვეთზე არსებული ავტოსარემონტო შენობის რეკონსტრუქციის პროექტი 05.2018-06.2018
ავტოსარემონტო.

განაშენიანების ფართობი 402.00 კვ.მ. III კლასი.

ქ. თერჯოლაში შპს ,,ედენა"-ს მიწის ნაკვეთზე არსებული სასაწყობე ფართის რეკონსტრუქციის პროექტი 12.2017-01.2018
სასაწყობე ფართობი.

ერთსართულიანი შენობა. III კლასი.

ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტი 04.2017-06.2017
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

9 სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. IV კლასი.

რკ ,,საბანოს ყველი"-ს რძის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტი სოფ. ზედა საბანოში 09.2016-10.2016
რძის გადამამუშავებელი საწარმო

ერთსართულიანი შენობა. II კლასი.

ნუგზარი ამბროლაძის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი ქვ. სიმონეთში 06.2016-07.2016
ერთბინიანი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

ერთსართულიანი საცხოვრეებელი სახლი. II კლასი.

შპს ,,ჯოკონდა"-ს ავტოგასამართი სადგურის კორექტირებული პროექტი ქ. თერჯოლაში 05.2016-02.2015

ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგური

განაშენიანების ფართიბი 566.00 კვ.მ. IV კლასი.

დამატებითი დოკუმენტები

დიპლომი არქიტექტურული პრემია 2006; ,,საუკეთესო საზოგადოებრივი შენობა"-ის ლაურიატი

(https://www.hr.gov.ge/files/677cb9f2-12eb-4067-b69f-5ca133292e55)

პირადობის მოწმობა

(https://www.hr.gov.ge/files/b294bbac-1a62-4bbd-bf7f-e48590b2ae7f)

შრომის წიგნი

(https://www.hr.gov.ge/files/215bec0c-c31b-489e-91bd-2b600d59d3f3)

სერტიფიკატი

(https://www.hr.gov.ge/files/db3419d2-8120-42f7-9a2f-5fd19686dd66)

GEORGIA

DIPLOMA AA № 0072035 ❊

This is to certify that ~~Mr~~/Ms MELANIA MAKARIDZE

in 2004 completed a full academic course of the

TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

majoring in ARCHITECTURE

By resolution of the State Examination Board, dated JUNE, 29 2004 ~~Mr~~/Ms M. MAKARIDZE is conferred the present DIPLOMA and the qualification of

AN ARCHITECT - ARTIST

Seal of Office

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City OF TBILISI 2004

Registration № X238

Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0072035 ❊

მიეცა ქალბატონ მელანია მაკარიძეს

მასზედ, რომ მან 2004 წელს დაამთავრა

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

სრული კურსი

არქიტექტურის

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის „29" ივნისის

გადაწყვეტილებით მიენიჭა

ხელოვნების არქიტექტორ-მხატვრის

კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 2004 წ.

სარეგისტრაციო № X238

მდივანი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2019 - 025

გადაეცემა

მელანია მაკარიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი